ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფის გზები იმერეთის რეგიონში

გვანცა არჯევანიძე
აკადემიური დოქტორი, Gvantsa.arjevanidze@atsu.edu.ge

თეიმურაზ კოჩაძე
აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, Teimuraz.kochadze@atsu.edu.ge

იზოლდა დანგაძე
აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. Izolda.dangadze@atsu.edu.ge

ჯუმბერ ჩოგოვაძე
აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. Jumberi.chogovdze@atsu.edu.ge

საკვანძო სიტყვები: *ტურიზმი; რეგიონი; ტრანსპორტი; ტურსტული ინფრასტრუქტურა.*
J.E.L. Classification: R11, R49, Z3 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2024.28.04

ციტირებისთვის: არჯევანიძე გ., კოჩაძე თ., დანგაძე ი., ჩოგოვაძე ჯ. (2024) იმერეთის რეგიონში ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფის გზები. ეკონომიკური პროფილი, ტ. 19, 2(28), გვ. 35-42. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2024.28.04

ანოტაცია. *ტურიზმის განვითარება ქვეყნისათვის პრიორიტეტულად ითვლება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების კვლევა. იმერეთის რეგიონში ჩატარდა ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კვლევა, ტრანსპორტისა და ტურიზმის სფეროში მოღვაწე მენეჯერული დონის სპეციალისტ-პრაქტიკოსების ანკეტირების და გამოკითხვების საფუძველზე. კვლევამ აჩვენა, რომ ტურიზმისა და ტრანსპორტის მიმართულებით რეგიონში არსებული მიდგომები, ვერ უწყობენ ხელს ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას და აუცილებელია ეფექტური ღონისძიებების გატარება, რომელთაც შეუძლიათ დადებითი გავლენა მოახდინონ რეგიონში ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და ტურისტული სფეროს მიმზიდველობის გაზრდაზე. სტატიაში წარმოდგენილია კვლევის ძირითადი შედეგები.*

შესავალი

ტურიზმი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, გლობალურ ეკონომიკაში ტურიზმის როლი მუდმივად იზრდება. ტრანსპორტი და ტურიზმი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და მათი ურთიერთზეგავლენა ძალიან დიდია. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სერვისების განვითარებას შეუძლია დადებითად იმოქმედოს ტურიზ-

მზე, მოახდინოს ტურისტული პაკეტების ჰარმონიზაცია და უზრუნველყოს მომხმარებლის მოთხოვნა, განვითარდეს ტურიზმის ახალი ფორმები, უზრუნველყოს ახალი ტურისტული მიმართულებების ტრანსპორტით ხელმისაწვდომობა და წვლილი შეიტანოს ქვეყნის და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში (Stephen, 2009: 447). მიუხედავად ამისა, სამეცნიერო კვლევების სფეროში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შესწავლა ხორციელდებოდა ფრაგმენტულად, მისი მდგენელების როლის და პოტენციალის გათვალისწინების გარეშე. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა აერთიანებს სატრანსპორტო საშუალებებს, ტრანსპორტის ობიექტებს და კომპანიებს, სატრანსპორტო გზებს და მარშრუტებს, სერვისის და ტურიზმის ობიექტებს სატრანსპორტო საშუალებებში და ობიექტებზე, სატრანსპორტო მომსახურებებს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებს და შრომით რესურსებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ყველა ელემენტის მუშაობას (Arjevanidze, 2024: 53-56; Котельникова, 2012: 118-123).

საქართველოში ტურიზმის და ტრანსპორტის განვითარებას შეუძლია გამოიწვიოს მათი ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი ზრდა საქართველოს ეკონომიკაში, დადებითი გავლენა მოახდინოს რეგიონების განვითარებაზე, გამოიწვიოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, ხელი შეუწყოს ქვეყნის მდიდარი მატერიალური რესურსების შესაძლებლობების უფრო ფართოდ გამოყენებას. ამ პროცესებში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფას შეუძლია ითამაშოს გადამწყვეტი როლი (Arjevanidze, 2023 : 20-24).

ძირითადი ნაწილი

იმერეთის რეგიონში ჩაატარდა ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კვლევა. ანკეტების საშუალებით გამოიკითხა ტრანსპორტისა და ტურიზმის სფეროში მოღვაწე მენეჯერული დონის სპეციალისტ-პრაქტიკოსები. კვლევამ აჩვენა, რომ ტურიზმისა და ტრანსპორტის მიმართულებით რეგიონში არსებული მიდგომები, ვერ უწყობენ ხელს ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას. კვლევებმა გამოავლინა, რომ აუცილებელია ეფექტური ღონისძიებების გატარება, რომელთაც შეუძლიათ დადებითი გავლენა მოახდინონ რეგიონში ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და ტურისტული სფეროს მიმზიდველობის გაზრდაზე. კითხვარის სრული ვერსია მოცემულია ცხრილში 1.

სპეციალისტთა გამოკითხვა მიმდინარეობდა (2024 წლის აგვისტოში) ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, რეგიონის ტურისტულ კომპანიებში, წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სულ გამოიკითხა ორმოცდაათი სპეციალისტი. გამოკითხვების შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ რეგიონის ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების დონის შეფასებისას ყველაზე დაბალი ქულა მიენიჭა ავტოსადგურებს, გზისპირა ინფრასტრუქტურას, შემდგომ საგზაო ინფრასტრუქტურას (თანაბარი რაოდენობა). სარკინიგზო ტრანსპორტი, საავტომობილო ტრანსპორტი, სარკინიგზო სადგურები და ტრანსპორტში მომსახურების დონე (თანაბარი რაოდენობა), ტრანსპორტში პერსონალის მომზადების დონე ოდნავ ჩამორჩება ტურიზმის სფეროში დასაქმებული პერსონალის მომზადების დონეს (სხვაობა 1 ქულა), იგივე და უმაღლესი ქულებით შეფასდა აეროპორტები და საჰაერო ტრანსპორ-

ტი. მაღალი, მაგრამ არა უმაღლესი შესაძ-
ლებლიდან მიიღო ტურიზმში სერვისების
დონემ.

ცხრილი 1

ანკეტა სატრანსპორტო და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებისათვის

1. შეაფასეთ საქართველოში ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე მისი შემდეგი მდგენელებით. (1 - ძალიან დაბალი, 2 -დაბალი, 3- საშუალო, 4 - საშუალოზე მაღალი, 5 - მაღალი)			
აეროპორტები		საგზაო ინფრასტრუქტურა	
საჰაერო ტრანსპორტი		გზისპირა ინფრასტრუქტურა	
რკინიგზის სადგურები		სერვისის დონე ტრანსპორტში	
სარკინიგზო ტრანსპორტი		სერვისის დონე ტურიზმში	
ავტოსადგურები		პერსონალის მომზადების დონე ტრანსპორ-ტში	
საავტომობილო ტრანსპორტი		პერსონალის მომზადების დონე ტურიზმში	
საქალაქო-სამგზავრო და საგარეუბნო ტრანსპორტი		ტურისტული და სატრანსპორტო საწარმოების თანამშრომლობის ხარისხი	
2. რა მიგაჩნიათ თქვენ საქართველოში ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მთავარ ფაქტორად? (აირჩიეთ მხოლოდ ერთი პუნქტი)			
ა. სახელმწიფო დაფინანსება			
ბ. სახელმწიფო რეგულაციები			
გ. კერძო ბიზნესის მოზიდვა			
დ. კვალიფიციური კადრების მოზიდვა			
ე. სხვა (გთხოვთ მიუთითეთ)			
3. რა ფაქტორები უშლიან ხელს თქვენი ტურისტული (სატრანსპორტო) საწარმოს განვითარებას?			
4. საქართველოში ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის რომელი მექანიზმი მიგაჩნიათ უფრო ეფექტურად?			
ა. სახელმწიფო		ბ. სახელმწიფო +ბიზნესი	

ექსპერტებმა აღნიშნეს ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე რეგიონში და მთელი რიგი სამთავრობო ღონისძიებების გატარების აუცილებლობა სიტუაციის ძირფესვიანად შეცვლისათვის. ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მთავარ ფაქტორებს შორის რესპონდენტთა უმეტესობამ აღნიშნა ტურიზმის სფეროში უფრო კვალიფიციური კადრების მოზიდვა, სახელმწიფო რეგულირება (Arjevanidze, 2024: 53-56). თუმცა, ეს ფაქტორი რესპონდენტებმა ორი კუთხით განიხილეს: ზოგიერთს მხედველობაში ჰქონდა რეგულირება, როგორც სახელმწიფოს უფრო აქტიური მონაწილეობა ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაში, სხვას ნაგულისხმევი ჰქონდა შემცირებული რეგულირება), ტურისტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებელ პირობად ნაწილი სპეციალისტებისთვის არის კერძო ბიზნესის მოზიდვა. მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ მთავარია სახელმწიფო დაფინანსება და ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაქტორების ერთობლიობა (პასუხების იგივე რაოდენობა). გარდა ამისა, რესპონდენტებმა სხვა ფაქტორებიც დაასახელეს. მათ შორის ყველაზე მეტად პოპულარული - სახელმწიფო მონოპოლიების შემცირება სატრანსპორტო ინდუსტრიაში, სატრანსპორტო ინდუსტრიის კომპეტენტური მართვა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, ყველა სახის ტრანსპორტის მჭიდრო ურთიერთქმედება. საქართველოში ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების დონის საექსპერტო შეფასებები ნაჩვენებია დიაგრამაზე (ნახ. 1).

ნახაზი 1

საქართველოში ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების დონის საექსპერტო შეფასებები



(ქულები: 1-ძალიან დაბალი, 2-დაბალი, 3-საშუალო, 4-საშუალოზე მაღალი, 5-მაღალი).

კითხვაზე „როგორ ფიქრობთ, რა მოკლევადიანი ზომების გატარებას შეუძლია შეცვალოს ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხი საქართველოში“, რესპონდენტთა უმრავლესობამ პასუხი ვერ გასცა. მათი აზრით, მოკლევადიან ზომებს არ ძალუძს არსებული მდგომარეობის ძირეულად შემობრუნება და ეს მიუხედავად ტრანსპორტის სფეროში გატარებული არაერთი რეფორმისა (მათ შორის სარკინიგზო ტრანსპორტის რეფორმა, ტრანსპორტის სფეროში გატარებული მართვის რეფორმა, ყველა სახის ტრანსპორტისა და ტურიზმის განვითარების სტრატეგიების შექმნა). თუმცა, მცირე რაოდენობის რესპოდენტების მიერ იქნა შემოთავაზებული გარკვეული კონკრეტული ნაბიჯები რომლებსაც ავტორის შეხედულებით შეუძლიათ დადებითად იმოქმედონ ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, კერძოდ:

- სატრანსპორტო ინდუსტრიის დამატებითი სახელმწიფო დაფინანსება;
- მოძრავი შემადგენლობის განახლება;
- სახელმწიფოს მიერ ლობირების გაუქმება ზოგიერთ სატრანსპორტო კომპანიებზე;
- ტრანსპორტსა და ტურიზმში პერსონალის კვალიფიკაციის დონის ამაღლება;
- მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
- კერძო სერვისების წილის გაზრდა ბაზარზე;
- მომსახურების ღირებულების გადახდის მოსახერხებელი ფორმების შექმნა;
- ტრანსპორტისა და ტურიზმის სფეროში კომპეტენტური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და გატარება;
- სახელმწიფოს მიერ დაფინანსების ვალდებულებების დროულად შესრულება ტურიზმისა და ტრანსპორტის სფეროში, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და დანერგვა, პასუხისმგებლობის განხორციელება არადამაკმაყოფილებელ შედეგებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა რესპონდენტმა აღნიშნა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, გამოკითხულთა მხოლოდ 50% არის დაინტერესებული ითანამშრომლოს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ამზადებენ სპეციალისტებს ტრანსპორტისა და ტურიზმის მიმართულებით. ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ყველაზე ეფექტური მექანიზმის არჩევისას რესპონდენტების აზრი შემდეგნაირად დაიყო:

- სახელმწიფო და ბიზნესი - 74 %;
- სახელმწიფო, ბიზნესი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები - 25%;
- სახელმწიფო - 1%.

ზოგადად, კვლევამ აჩვენა, რომ არსებული მიდგომები, რომლებიც მიმდინარეობს რეგიონში ტურიზმისა და ტრანსპორტის მიმართულებით, არ უწყობენ ხელს ტრანსპორტისა და ტურიზმის სწრაფ განვითარებას. აუცილებელია სწრაფი ღონისძიებების გატარება, რომელთაც შეუძლიათ დადებითი გავლენა მოახდინონ რეგიონში ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და ამავდროულად გაზარდონ ტურისტული სფეროს მიმზიდველობა რეგიონში, გაფართოვდეს რეგიონის ტურისტული მიმართულებით კონკურენტუნარიანობა, ტურისტული და სატრანსპორტო საწარმოებს მიეცეთ საშუალება გაზარდონ თავიანთი წვლილი ქვეყნის ეკონომიის განვითარებაში. გამოყენებული უნდა იქნას წინადადებები და რეკომენდაციები ტურიზმისა და ტრანსპორტის სფეროს როგორც თეორეტიკოსებისგან, ასევე პრაქტიკოსებისაგან (არჯევანიძე,

2021:121-131; Arjevanidze, 2021: 8-11).

ჩატარებული კვლევები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ:

1. არსებული სამეცნიერო, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მიდგომები ტურიზმისა და ტრანსპორტის სფეროში, საქართველოში გატარებული სტრუქტურული რეფორმები ტრანსპორტისა და ტურიზმის მიმართულებით, არ არის საკმარისი და ეფექტური იმისათვის, რომ მათ ხელი შეუწყონ ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

2. აუცილებლად საჭიროა რეგიონის ტურისტული ბაზრის ყველა მონაწილის ერთობლივი ძალისხმევა რათა კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებით მოკლე დროში უზრუნველყოფილი იქნას რეგიონის ტურისტული პოტენციალის განვითარება, რაც თავისთავად სასარგებლო გავლენას იქონიებს ზოგადად ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებზე. თუმცა ამისათვის აუცილებელია არა მარტო ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არა მხოლოდ კვლევის, ანალიზის ახალი მეთოდები, არამედ მისი განხორციელების ეფექტური მექანიზმების შემუშავება.

ლიტერატურა:

1. დანგაძე ი., ჩოგოვაძე ჯ., კოჩაძე თ. (2017). სოფლის ტურიზმის განვითარება საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „რეგიონალური ტურიზმის პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული. ქუთაისი, გვ. 37-40.

2. Arjevanidze G., Melikjanyan K., Karkashadze N, Dangadze I. (2023) The methodology of management of the tourist transport infrastructure development and its use in the tourism system. SCIENTIFIC TECHNICAL UNION OF MECHANICAL ENGINEERING “INDUSTRY 4.0” NATIONAL SOCIETY “INDUSTRIAL & NATIONAL SECURITY”. INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL SCIENCE. BUSINESS. SOCIETY. Sofia, Bulgaria. P.20-24.

3. Arjevanidze G., Lomidze A., Chogovadze J., Dangadze I. (2024). Development of a theoretical calculation algorithm for forecasting the number of tourists for the regional tourism business. SCIENTIFIC TECHNICAL UNION OF MECHANICAL ENGINEERING “INDUSTRY 4.0” NATIONAL SOCIETY “INDUSTRIAL & NATIONAL SECURITY”. INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL SCIENCE. BUSINESS. SOCIETY. Sofia, Bulgaria. P.53-56. .

4. Dangadze I., Kochadze T., Zaqareishvil V. (2012). A brief analysis and market prospects of tourist traffic in Georgia. MACHINES TECHNOLOGIES MATERIALS- MTM. P. 12-15.

5. Stephen J. Page. (2009). Transport and tourism. Global perspectives. 3rd edition.- London. 447 p.

6. Котельникова В.Е. (2012). Транспортная инфраструктура туризма -М.: МИИТ, выпуск 4, с.118-123.